

თეატრი



№ 49 საყოველ-კვირბო სალიტერატურო და სამხატვრო კაზეთი. № 49
 30 ბიორგოზისთვას ბაგოიცივაა ყოველ კვირაოპით 1886 წალსა.

ფასი გაზეთი „თეატრი“-სა კრთის წლით..... 5 მან. X ნახეკარ წლით.... 3 მან. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქც. კონტორაში აწწრუნისეკულ ქარვას. ფოთში ბ-ნი ბესარიონ კალასდაქესთან.

ცალკე ნუმერი გაზ. „თეატრი“-სა ღირს 15 კაპ.

ისეიღება: თბილ ისში: ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში, შვეერდოვის სააგენტო კონტორაში, ალიხანოვის პაპი-როზის მალაზიაში, ხიდის ყურთან. ქუთაისში კილაძეთ წიგნის მალაზიაში და ბათუმში პარიკმახერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორრესპონდენციები, ლექსები და სხვა წერილი წერილები, თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა შესწორდებიან.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ ერთს თვეს. სტატიების უკან გაგზავნას რედაქცია არ კის-რულობს.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ბ-ნი წერილების ავტორთ სტატიები გარჩევით ეყვენ დაწერილნი.

ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს ავტო-რის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: Тифлисъ. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“ Галлерей бив. Арцруни № 110.

ქართული თეატრი

სუამბათს, 18 დეკემბერს
 კ. მესხის მონაწილეობით
 წარმოდგენილი იქნება:
 I

უან ბოდრი

ღრამა 4 მოქმედ. თხზ. ვაკრისა
 ფრანციკულიდამ ნათარგმნი ი. მაჩაბლისაგან.
 დასაწყისი სწორეთ 7¹/₂ საათზე.

ბოდრის ვიხდით ჩვენ მკითხველებთან, რომ „თეატრი“-ს მე 49 № ასე დავაგვიანეთ.

პრიტიკა და ბიკლიოგრაფია

რამდენიმე მოსაზრება შოთა რუსთაველზე.
 (გაგრძელება *)

როდესაც მე ჩემს პირველ წერილს ვსწვდით შოთა რუსთაველის შესახებ, მაშინ მე ბევრი ვეძებ ქართულ ძველ საისტორიო წიგნებში, დაბეჭდილებ-ში, ხელთ-ნაწერებში, სხვა-და-სხვა ძველსა და ახალს ლექსებში, სიგელ-გუჯრებში და რუსულს ენაზე და-ბეჭდილს საქართველოს ისტორიულს წერილებში, მაგრამ ბევრი ჩხრეკის შემდეგ მე იქ ვერაფერი ვპო-ვე შოთას შესახებ და ჩვენ დაგერჩა ისევე „ქართლის ცხოვრების“ გაკვრითი მოხსენებული ცნობები და მიემართე ისევე მას. დაეიწე „ქართლის ცხოვრების“ შინჯვა და რაც იქ ცნობები ენახეთ, ჩვენი საგნისა

ინილე „თეატრი“ № 47.





და პროგრამის შესახებ, ყველა ეს ცნობები ერთი მეორეს დაუჟღავნებდა და ჩემ პირველ წერილში შევითანე, მხოლოდ „ქართლს ცხოვრებას“ ერთ ფურცელზე მოხსენებულ რუსთველის თანა მოსახელე, შოთას შესახებ კი ჩვენ არა ვსთქვით-რა და გვერდს აუარეთ. ჩვენ ეჭვ გარეშე მიგვაჩნდა ის აზრი, რომ შოთა რუსთველის ნამდვილი სახელი „შოთა“ უნდა ყოფილიყო, ამას ჩვენ მტკიცეთ დავადექით იქ და ზოგიერთ ისტორიულ მწერალთ წინააღმდეგ ვისაუბრეთ. ჩვენი ჰაზრი ბოლოს გამართლდა და ერთის ძველის ხელთ-ნაწერი ქართული წიგნის მეოხებით დამტკიცდა რომ რუსთველის ნამდვილი სახელი შოთა ყოფილა. რუსთველის ამ სახელის სინამდვილეზე ჩვენ ეფუძრებით, მაგრამ ისიც არ გვაფიქვდება, რომ იქნება ეს სახელი ძველს დროში მეტ სახელათ იყო მიღებული და ხალხისაგან ხმარებული და არა ნამდვილ სახელ-წოდება, რომელიც დამტკიცებულია მსოფლიო კრებებთაგან და ქრისტიან ერისთვის მიცემულ-დამტკიცებული. ამის ეჭვში შეყვანას ჩვენ ის უფრო გვაბედნიერებდა და გვაფიქრებინებდა, რომ შოთას სახელით დღეს მრთელ ქრისტიან ერში არც ერთი წმიდანი არ მოიპოვება და ამის ძალით ქრისტიანთ ეკლესიათ კრებებს ეს სახელიც არ შეუტანიათ თავიანთ სახელთ კანონთ კრებაში, ამ სახელით მათ არც ერთი პირი არ შეუწყნარებიათ და უცუნიათ წმინდანათ და მათ რომ გორ მოხდებოდა უამისოდ, რომ სარწმუნოებით ფანატიკ ბერ-მონაზვნებს ეს სახელი ქრისტიანობის დროს შემოჰპარეიყოთ და გავრცელებულიყოს ხალხში. ეს სახელ-წოდება „შოთა“ ქრისტეს წინათ, საქართველოში, კერპთ თაყვანის ცემის დროს იყო გავრცელებული. ვახუშტის თქმით ამ სახელით იმ დროის ქართველთ კერპთ ღმერთნიც იწოდებოდნენ და იგულისხმებოდნენ ხალხთაგან. ამ ღმერთს ქართველნი სწირავდნენ ზვარაკს, ნიეთეულებას, სხვა და-სხვა რამეებს და გამომცხვარს პურს, რომელ მისატან გამოშტკვარ პურსაც თვით კერპთ შემოქმედის სახელით გამოაცხობდნენ ხოლმე, ისე მიუტანდნენ და შესწირავდნენ კერპთ ღმერთ მთავარს შოთასა. აი ამ კერპთ ღმერთ მთავარს შოთას გამო შერჩა ჩვენს ერთ ნაირს გამომცხვარ პურს სახელი „შო-

თა“. კერპთ თაყვანის-ცემის დროს ხალხს უწყნარებდა ჯდომია ეს სახელი თვის რბილსა და ძვალში, მათ ეს ისეთ საღმრთო ვალად გარდაჰქცევიათ და იმის ისეთი პატივის ცემა ჰქონიათ, რომ ეს საკერპო სახელი ქრისტიანობაშიაც კი შეუტანიათ და უხმარიათ; მაგრამ ცვლილებით კი: ისე რომ სიტყვის-თვის თავში ასო ა მიუმატებიათ და ბოლოში თანდებული ¹⁾ ანი და მით გამოსულა რთული და მარტივი სახელი. ეუნდა ესთქვათ კი, რომ არც ასეთ თვისებით მოცული სახელი დარჩენილა ხალხში თავის დასაწყის დაბოლოვებით, იგი ხმარებაში ისევ დარჩენილა და გავრცელებულა, როგორც ხალხს ერთხელ გამოუგონია, შეუშუშავებია თვის გონებაში და შეუსწაველ-შეუთვისნიათ თავისთვისა და თავის შთამამავლობისათვის.

შოთა რუსთველის სახელის სინამდვილით გამოცნობაზე და გაგებაზე ბევრმა ისაუბრეს და სხვათა შორის საქართველოს შემოკლებული ისტორიის დამწერმა გოლოვინამაც დაბეჭდა თვის მიმოხილვაში, რომ შოთა რუსთველის ნამდვილი სახელი ივანე იყო ²⁾ ეუნდა ესთქვა კი, რომ ეს სრული და უწყალულა სიმტყუნეა. ბ. მიმოხილველს შოთა რუსთველის სახელათ სულ სხვა რუსთველის სახელი მიუღია და დაუბეჭდია თვის მიმოხილვაში. მოგვხსენებათ, რომ თბილისის მახლობლივ, სოღალუხისკენ, ბოსტან ქალაქის მახლობლივ არსებობდა საეპისკოპოზო ტაძარი, რომელსაც რუსთავს უწოდებდნენ და ამ კათედრის ეპისკოპოზნიც რუსთველათ იწოდებოდნენ. ეს საეპისკოპოზო თავის მღვდელმთავართ გამგეობით მეთვრამეტე საუკუნის დამლევამდე არსებობდა, ხოლო ამ დროს კი მას სპარსები დაეცნენ და სრულიად აღაოხრეს. საქართველოს ქათოლიკოზის ბრძანებით და სურვილით რუსთავის საეპისკოპოზო კათედრა მარტყოფში გადიტანეს და მარტყოფში დაადგინეს, რომელ ეპისკოპოზის ხელ ქვეით უნდა ყოფილიყოს მრთელი იერის მხრის სამღვდლოება და ერი. ამ რუსთავის კათედრაზე მრავალნი ეპისკოპოზნი იყვნენ და ერთი ამათგანი იყო ივანე რუსთავის ეპისკოპოზი, ანუ ივანე

¹⁾ ვახუშტის გეოგრაფია, გამოცემა 1848 წ. პეტერბურგი.
²⁾ История Грузии, Головина, 1865 г. изд. Тиф.

ერეკლევი
საქართველო

რუსთველი მელექსე. ამ ეპისკოპოსის სახელი საცალა შეჭმედრია გოლოვინსა და ამას ეს სახელი რუსთველის სახელათ მიუღია და ისეც შეუტანია თავის აღწერაში. ეუნდა კი მოვიხსენოთ, რომ სწორეთ ასეთისავე შეცდომებით არის მოცული სულხან ბარათაშვილი თავის ისტორიაში, სადაც ის მოგვითხრობს, რომ შოთა რუსთველი თფილისის მარჯვენა მხარეს მდებარე რუსთავილამ იყოფო, ანუ კახეთილამო. ეს სთქვა ბარათაშვილმა, მაგრამ ჩვენ კი არას ვიტყვით ბარათაშვილზე, რადგანაც მან ქართული ენა არც კი იცოდა ისე, როგორც რიგი და წესია და ქართული მწერლობის ისტორიას ხომ სულ ვერ იცნობდა. მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ეს სწორედ ასე უნდა იყოს და ამ სახელის მოგონება პირდაპირ გოლოვინის მოუსაზრებლობას და ფანტაზიას მიეწერება. ამის თქმას ჩვენ დღეს იმიტომ უფრო ვბედამთ, რომ შოთა რუსთაველის სახელის აღსადგენად საქმარისად საყურადღებო მასალა მოვიბოვეთ. ამ მოკლე ხანში ტფილისში აღმოჩნდა ერთი ძველი ხელთ ნაწერი წიგნი, რომელსაც სახელად ¹⁾ „მე მხოლოე სულაიერი“ ეწოდება. ეს წიგნი დაწერილია მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, რუსეთში მყოფ ქართველ ბატონიშვილების ერთი ქართველი მღვდლისაგან; წიგნის შინაარსი შეიცავს ლიუტერის სწავლის გავრცელებას, მის მოწინააღმდეგეთ და მომხრეთ ცნობებს.

რაკი ეს წიგნი ჩვენთვის უცნობია, ამიტომ აქ ორიოდ სიტყვას ამ წიგნის შესახებაც ვიტყვი. წიგნის შინაარსიდან ნათლად სჩანს, რომ იგი ვინმე კათოლიკეთ ბერისაგან უნდა იყოს დაწერილი, რადგანაც დამწერის ყოველ ჰაზრს რაღაც მიუხდობლობის ბეჭედი ასვია, ეს წიგნი მაინც თავის დროისთვის ღირსეული და საჭირო, იქმნებოდა თორემ დღევანდელ ჩვენი გონებისათვის კი იგი სრულიად არაფერ საგანს წარმოადგენს. წიგნს მიუძღვის ვრცელი წინასიტყვაობა, ეს წინასიტყვაობა ეკუთვნის მთარგმნელს, იგი დაწერილებით მოგვითხრობს ქართულს საეკლესიო მწერლობის შესახებ, რომ ძველის დროიდან საქართველო მდიდარი იყო მწერლობითაო. როდესაც საქართველოში ქრისტიანობა მოიფინა და სამღვდლოება გავრცელდა და ბერმონაზონობა მოიფინაო, ამ მამებისეგ მოფენას მოჰყვა ხალხის ბედნიერება, კეთილ დღეობა, მეცნიერება, სწავლა, განათლება და ღეთის შიშიო. ამავე დროს აღორძინდა ქართული საეკლესიო და საღვთის მეტყველო მწერლობა და მის შემდეგ თითქმის ყოველს ბერს სამღრთო ვალად მიაჩნდათ ის, რომ


მათ რამე წიგნი შეედგინათ, ან გადმოეწერათ ქართულს ენაზე და იგი დაეტოვეინათ თვის მოსახსენებლათო. ამ გვარი ლტოლვილება მეთერამეტე საუკუნემდის თავის მტკიცე კალაპოტში მჯდარი, შეურყეველად მოჰყვა ჩვენს ბერებს და სამღვდლო პირთო. ამის მიზეზად დამწერს ის მიაჩნია, რომ საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელი ეკლესია იყო და მასთვის საკუთარი წარმომადგენი — კათალიკოზი ჰყავდაო. ყოველი კათოლიკოზი მწიგნობარი და მუშაკი იყოფო და ამის მეოხებით ქართული სასულიერო მწერლობაც მდიდრდებოდა.

(შემდეგი იქნება)

(ეუძღვნი კ. ნ. ორბელიანისას)

სულ მუდამ-დღე ნადვლასნი სიმღერა—
 და დაჯემა? რად გამწარდი? რა არი!
 ნუ თუ გაჭქრა შენი ტრფობის ტაძარი?
 ნუ თუ ისე დაუგდისარ შენს ბედსა,
 რომ ვერ ჰქოებ ჰეყუნად ვერარა იმედსა?
 სუ თუ შენს გუფს აღარ აღხენს ზაფხული,
 არც სიამე, არც დამტკბარი თავის ძეკრა,—
 ხარ ყოველგვარ უიღბალო, ბედ-გარული,
 სულ შესამს გასმეკს წყუული ბედის წერა?...
 ეს არა მრწამს!... მჯერა — შესვი სიმწარე
 ცხოვრებისგან შესმით სასუე ძირ-მწარე!
 მაგრამ, დაო, კარგათ იცი, რომ ყველა
 მაგ დღესა ვსცდით, და ხან მადლა, ხან ნელა
 კვიცხავთ, ყვედრით დღე ნიადაგ ჩვენ მსკედრსა,
 ზიზღით გუნჭერთ და კემდურით ცხოვრებას;
 ჩვენც ვაკუნესუბთ ნადვლასნად სიმებსა
 და ჩვენც კელტით სშირად სიამოვნებას!
 მაგრამ მაინც ვბოკებთ ხან წამს სადსენსა —
 გადდიდინებთ უდარდელსა გალობას,
 გურიგდებით წამით ასუე სოფელსა,
 მსკედრსაც ვუძღვნით ამ წამისთვის მადლობას!...

1) მე მხოლოე იონა ბერისა.



ქართული
ბიბლიოთეკა

ნუ შეგვეკვთობს, დაო, სოფლის სიმუხთლე,
 მხნედ ვებრძოლოთ უგუდმართსა ცხოვრებას,
 ვადვიანოთ სიტკბოებთ სინცოცხლე
 და ნუკეშად ვრაცხდეთ ღვთიურს ბუნებას...
 მამ შენც დასტობი, გაიცინე, ახარე,
 გუეო, რაც სვი უყამური სიმწარე!
 აწ მოჭყევი შენებურად სიმღერას,
 გრძობით, ღვინით, აზრით სასე სიმთ უღერას.
 და დასტოვე ეკ ტიპილი და ცრემლი,
 გლავის ხმითა მუდამ ჩანგისა უღერა,
 გულის, სულის და გრძობების დამსრწნელი
 სულ მუდამ-დღე ხალვლიანი სიმღერას!

გ. თორელი.

№...ს

მსურდა შენს მცნებას არ განვსდგომოდი,
 არ მომეგონე, არ მეგარებოდი;
 ოხვრით და ტანჯვით მხვედრს ვწვალას,
 ვით კრავი მგელსა დაუმონებოდი!
 „დამვიწყებოდა შენი სახელი,
 ეგ ნაზი სასე, ტბილ სახილველი
 და შენდა ნაცვლად, სხვისთვის მეკმეო-
 გუნდრუგად: გული, გრძნობები, ცრემლი!...“
 მაგრამ, შენ გვიცავ, ჩემო ღვთაება,
 სინცოცხლე ჩემო და სასოება; —
 შენგინე ტუეე სულის მონადირება
 ვერ მოვაგვარე!... ბედნიერება; —
 შენვე უყვარხარ, შენვე გიგალობს,
 შენთვის ღვრის ცრემლებს, შენთვის ვალალობს;
 ბედნიერად ქსთვლის თავს მითაც მაგ გულს,
 ოდნად რომ ახსოვს და ღიმილს ქსწვალობს.
 ბედი, იღბალი, ნეტარ ცხოვრება,
 გულის სინცოცხლე, სულის ცხოვრება,
 მაშინ ცხოვლდება მისთვის ყოველი,
 ოდეს ბედ-კრულსა მოაგონდება:
 კეთილი გული, ძალადი სული,
 ქცევა და აზრი აჭყავებული,
 კვლური სასე და სათნობა,

რითაც ხარ, გერიტო, შემეული, სრული!
 მაშინ მზად არის დაიწვას ცეცხლში,
 მზად არის დაღვეს საწყობბილში,
 მზად არის კიდევ შენდა სასაცვლოდ
 წარგზავნოს სული თვით ჯოჯოხეთში!...
 ნაცვლად რას კლის?—გულ-გრილს შენ ქცევის,
 მისის ცრემლებით შენსა შექცევის,
 მისსა გრძნობებზე ცელქსა შენს კის-კისს,
 მისგან ნავარდით შენსა გაქცევის.
 მაგრამ, ღამაზო, ნაზო შეშელო,
 სინცოცხლით სასევე, სულის დამწველო,
 მაინც-და-მაინც გულს შენ უყვარხარ,
 მუდამ ქსურს შენი სვას სადღეგრძელო!
 ეს გზობაც უთხრა მას არა ქსჯერა,
 რომ მწარე არის მის ბედის წერა
 და უნაყოფო, შენდა შესახებ,
 მისი გალობა და მისი მღერა.
 უბნობს: „დრო მოვა—აჭყავილდება
 მთანი და ველები, გახალისდება,
 ჩემსა სატრფოსაც უმინო გული
 შეუთამაშებს, გადუბრუნდება!—
 დაუგდება ყურსა ჩემს ჩანგის უღერას,
 მისს სადიდება, ჩემსა სიმღერას,
 ჩუმაღ ღუღუნით ბანსაც მოსძახებს
 ჩემს დაფარულსა გულისა ძეგას!
 კიდევ გაქცება მის ქონი ვეგა,
 შემჩვევს თვალსაც გიშრულს ნელ-ნელს,
 შემდეგ ბაღჩაშიც გარდმოაფრინდება
 ჩემთან ჭრამახი ჩემი შეშელო
 სულ საცხოვრებლად!...“ დანამელო
 ხომ ხედავ არ ვარ?—გაჯავრებული
 ნუ ხარ! ღმერთს გვიცავ არ დაგვიწყებს;
 თუ დაგვიწყებს თვის ღვქსთას გული!..

გ. თორელი.

წერილი რედაქტორსთან

ივერიის 256 №-ში დაბეჭდილია ბ-ბლოგრა-
 ფიული შენიშვნა, შესახებ ერთის რუსულის წიგნი-
 სა, რომელ წიგნის დამწერიც მეფის ირაკლისაგან
 დასჯილი აღექვსანდრე ამილახვარია. ამ აღ. ამილ-

ხერის შესახებ მეარას ვიტყვი. ქართველ მკითხველებს უჩემოთაც ეცოდინებათ ეს, რადგანაც ამის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ ვრცლათ არის აღწერილი და ამის გარდა ალ. ორბელიანსაც ხომ გავკრით, მაგრამ ხეირიანათ აქვს აღწერილი „მეფის ირაკლის მეორის შეთქმაში“. ვიტყვი მხოლოდ შემდეგს:

ერეკლესაგან დასჯილ ალექსანდრე ამილახვარს, დასჯის შემდეგ უცხო ქვეყანაში გაგდება დაუპირეს. თვალზე დათხრილი ალექსანდრემ გაქეცებას აღარ მოუტადა და თვითვე წავიდა რუსეთში. რუსეთში ყოფნის დროს ამან დასწერა ის წიგნი, რომელიც ეხლა უბოვიათ და მცირე ხნის შემდეგ ეს წიგნი იქ დაბეჭდეს კიდეც.

ეს თხუზულება ამავე დროს ქართულათაც ვადმოთარგმნეს მეფე ერეკლესთვის, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ეს თარგმანი მეფის ირაკლისავე ბრძანებით აღკრძალულ იქმნა საქართველოში და ამას გარდა რუსეთშიც მისწერეს თხოვნა, იმპერატორის ეკატერინას რომ რუსეთშიაც აღეკრძალათ ეს წიგნი. ერეკლეს თხოვნა რუსეთის იმპერატორის სისრულეში მოუყვანია და ეს თხუზულება რუსეთშიაც აღუკრძალავეთ.

ქართული თარგმნის ეგზემპლარი პ. იოსელიანს და ტარასი არხიმანდრტს ჰქონდა, 1879 წ. მეც ვნახე, რომლის გამო „დროებაში“ წერილი იყო დაბეჭდილი.

ჭ.

წერილი აგვაში.

*** ჩვენ შევიტყუეთ, რომ თბილისის შემის მკრელებსთვის ამქარის უსტაბაში ამოურჩევიათ და ამქრობაც დაუარსებიათ.

*** ამ ბოლოს დროს, თფილასში შემის ფასმა ერთობ აიწია, ასე რომ გლენ-კაცები ეხლა პატარა ღვთიანათ აიღებენ თავიანთ შრომის ფასს.

*** ამ დღეებში ჩვენ გვაჩვენეს ერთი ქართული წიგნი, სახელდობრ „პროპაგანდა დე ვალე“. ეს წიგნი დაბეჭდილია ქ. რომში 1774 წ. პატრის ტულუ-

კანთ დავითისაგან. წიგნს წინასიტყვაობა მიუძღვის ლათინურათ და ქართულათ. კარგა ერცელი წიგნია, სუფთათ არის დაბეჭდილი და კარგის ასოებით.

* * ამას წინეთა „თეატრის“ ნომერში, რომ შარდენის მოგზაურობის შესახებ იყო წერილი, შევიტყუეთ, რომ ეს საინტერესო წიგნი ჩვენს წერაკითვის სამართველოს შეუძენია.

* * ამ დღეებში გამოვიდა მეფის თეიმურაზ (1591—1665) პირველის ლექსები. წიგნში სხვათა შორის დაბეჭდილია რამდენიმე წერილი ლექსი და ამას გარდა ოთხიც შემდეგი პოემები 1, „მაჯამა“ ანუ „მუსტაზადი“, 2, ვარდულებულიანი“ თარგმანი სპარსულიდამ, თეიმურაზის სიტყვით ეს პოემა მოლა აჯამ ბრძენთაბრძენს დაუწერია, 3, „შამი ფორავანიანი“ და 4 შედარება გაზაფხულის შემოდგომასთანა. წიგნს წინ მიუძღვის პატარა ბიოგრაფია თეიმურაზ პირველისა და ბოლოში კიდეც ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

გამოცემულია ზ. ქიქინაძისაგან და ღირს 30 კ.

გურული ლექსები

ამ სპაგელს დროში მყოფი ვეშგავსები მარად დამთვრალს,
უბრალოდ ცილის წამებით, არ გვაძლევენ ჩვენ სამართალს,
მათ ჭგონიანთ კონტრასტათ ჩვენ ვზიდავიდეთ ვითომ
ფართალს;
დეიდრც მისი ხსხ ვისაც უთქვამს, ჭირი—მართალს.

2

უფროთწუთის სოფელსა, ვინ დარჩეს ანუკან მოკვდეს,
თუმც იუას მისი ნუგეში უნდა შევაკვდე ქვას და კვდეს,
სიმიდირე რა სსხმარია, ის მუჯდეს თითის ილაკდეს.
ასი ათასი მანეთი გამიპრას-ქანძდეს—ბოლოკდეს.

3

თვალნი შენნი ოსუთათ ღირს და წამწამი არაბუთად,
თმა ჩოხსათად, წარბა ღვსად, წინ შამოყრასოზურგეთად;
შენთან უოფნა და თამაში საიჭიოს ნათლის სეკტად,
რადგან გატუობ არ გიყვარვარ, არცმე გაქუ ამის მეტად,

4

სიყვარული ვერ შეგატევე, არ მომწერე ბართათი,
მომიძლე და გამაგდე ვითომ ძველი კალთათი.
სიყვარული, გენაცვალე არ იქნება ძალათი,
ოსრად მჩნება ძველი ჩოხს და ასაღი ხალათი.



გასართობი

„კოლხიდა“-ს სასტუმროში, ქუთაისში, ზალა-ში ჩამოდენივე პირნი სადილობდნენ; ამათ შორის ორი-სამი წარჩინებული ქართველნიც რეულან, რომელნიც დიდ-ხნობით სცხოვრობენ თურმე ამ სასტუმროში და ფულს კი არ იხდიან. ამ დროს შემოდის სასტუმროს პატრონი და ამ წრეს მიუახლოვდება.

— ბატონებო, — მიჰმართავს სასტუმროს პატრონი, — დიდი ხანია მესმის ყველგან სიტყვა „სოციალისტი“ და ვერ შემიცვნიია კი რას ნიშნავს, გახოვთ ამიხსნათ.

ერთ-ერთი ქართველი წარჩინებული ესე აუხსნის: ეს სიტყვა, აი, რას ნიშნავს, ჩემო გიორგი: როცა შემძლე კაცი თავის ქონებას ღარიბებს გაუნაწილებს, რომელიც მთავრობის განკარგულებებს ეწინააღმდეგება, რომელიც მუქთად აქმევს-ასმევს ღარიბებს — ამისთანა კაცს „სოციალისტს“ ეძახიან. ესეც იცოდე რომ ამისთანა კაცებს მთავრობა სდევნის, ხანდისხან იჭერს კიდეც.

— თუ ეგრეა, მაშ აქამდის უნდა ჩამოვეხრჩე კიდეც, არათუ დავეჭიროე, რადგან ეს ორი-სამი წელიწადია მუქთად გასმევთ და გაქმევთ. სურათი.

რედაქტორი-გამომცემელი ვ. აბაშიძე.

ვასწავლი ფრანგულს ენას ქართულის საშუალებით. საკლასო რეპეტიციონებსაც ავიღებ.

პეტრე პირიანაშვილი
ადრესი „თეატრის“ რედაქციონში.

დედა-ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, მისთვის გამოცემა, შეცვლილი და შევსებული, დაიბეჭდა და ისუიდება გამომცემლის გრიქუროვის მაღაზიაში. ამ ანბანის

გამოცემის ანბანი თითქმის ხელ-ახლად არის შედგენილი და მასში ჩამატებულია საწერი დედანი, პირველ ხანში სახმარებელი. პირველი საკითხავი წიგნი შევსებულია ახალი სავარჯიშოებით, მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით, გარდა ამისა შეცვლილია რედაქცია ზოგიერთა წინანდელი მოთხრობისა და ლექსებისა. წიგნის მეორე — სადმართო ნაწილი იპყრობს პირველის წლის კურსსა ორივე ადტქმას მოთხრობისას, სურათებ ს. სადმართო მოთხრობებითა ვდება წმიდა ნინოს ცხოვრების და მოქმედების მოკლე აღწერით, რომელიც სურათით არის შემკობილი. წიგნი წინანდელს გამოცემაზე ერთი თაბანი, იუნ 32 კვერდით, დილია, მაგრამ ფასი კი შეუცვლელად ერის დარჩენილი. გამომცემელი გრიქუროვის მაღაზია იმყოფება კუკის ნიდის უერთან, ბადის პირ-და-პირ. (5—4)

გამოვიდა და ისუიდება ქუთაისში, ი. მურადოვის წიგნის მაღაზიაში

ქართული წერის დედანი

მ. შაბიჩვაძისა.

ფასი 30 კაპ.

ვინც ოც-და-ათს, ანუ მეტს ეკემპლიარს იუიდის, ეკემპლიარი 24 კაპ. დაეთობა და გაეკ საზნება.

წერის დედანს შეადგენს: 1.) მსხვილი გადაბმული ხელი ბადეში თავის ელემენტრებით; 2.) დანატარავებული საშუალო გრკვალი ხელი უბადეთ ოთხს ხაზში; 3.) გადამბული სწორედ (აღმაცურად) ნაწერი ნუსხური ხელი სამს ხაზში და 4.) გადხრილი (наклонный) გაკრული ნუსხური ხელი ბადეში-ჯერ გადამბულად და შემდეგ სამს ხაზში გადამბით. დედანს აქვს სულ 24 კვერდი.



საყოველ-კვირათა სათეატრო და სალიტერატურო გაზეთი

„თეატრი“

მიიღება ხელის მოწერა 1887 წლისათვის

(წელიწადი III)

გარდა პირ-და-პირი თავის დანიშნულებისა, ე. ი. ადგილობრივი თეატრების, (განსაკუთრებით ქართული) მდგომარეობის დაწვრთვებით ადწერისა, „თეატრი“ თავის ადევნებს კიდევ ჩვენ ლიტერატურასაც. დრო გამოშვებით „თეატრი“-ში მკითხველი ნახავს მოთხრობებს და ბევრს სხვა-და-სხვა, ჩვენი მკითხველთათვის, საყურადღებო ამბებს. საზოგადოთ პროგრამა „თეატრისა“ შემდეგია:

- ა. მოწინავე წერილები.
- ბ. ზიესების და წარმოდგენების რეცენზიები
- გ. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია
- დ. კორესპონდენციები და ეოველ-გვარი ცნობები გარეშე ქალაქებიდან, უფრო თეატრის გამო.
- ე. ხელოვნებათ გამოჩენილ ზირთ ბიოგრაფიული წერილები მათის სურათებით
- ვ. თეატრები: ქართული, რუსული, სომხური და სხვ.
- ზ. ცნობანი რუსეთის და სამსლვარ გარეთის თეატრისა. —
- წ. ფელეტონი: თეატრის კვარა, ლექსები, სამღერალი კუმლექტები, დრამა-ტიული თხზულებანი, სცენები, რომანები, მოთხრობანი, ამბები, მოგონებანი და სხვ.
- თ. კასართობი: ანეკდოტები, გამოცანები, რებუსები, შაირები და სხვ.
- ი. ეოველ-გვარი ცნობანი და კანცხადებანი.

ჩვენ ლიტერატურაში გამოჩენილ მოღვაწეთ „თეატრს“ ადუთქვეს თავიანთი მიანაწილეობა. „თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით.

ფასა „თეატრი“-სა:

წლით, როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის—	5 მან.
ნახევარი წლით	3 მან.
ცალკე ნომერი	15 კაპ.

სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღებ.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში მხოლოდ „თეატრის“ რედაქციაში ქუთაისში ძმათა ჭიფლაძეების წიგნის მაღაზიაში ფოთში ბ-ნი ბესარიონ კალანდაძესთან.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію «ТЕАТРЪ». რედაქცია იმუოფება: Базарная улица, домъ Тамашева, № 16

ОБЪ ИЗДАНИИ ВЪ 1887 ГОДУ
ПОЛИТИКО-ЛИТЕРАТУРНО-ЮРИДИЧЕСКОЙ



газеты

„КАВКАЗСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(Бывшее «юридическое обозрѣніе»)

годъ седьмой

Издавая въ теченіи шести лѣтъ „Юридическое Обозрѣніе“, посвященное изученію юридическихъ вопросовъ, судебной практики и правовой жизни, редакция журнала, въ виду нарождающихся потребностей, признала необходимымъ расширить программу и съ 1-го Января 1887 года издавать ежедневную политико-литературно-юридическую газету, подъ названіемъ „Кавказское Обозрѣніе“

Въ газетѣ примутъ участіе многіе столичные, инопородніе и мѣстные Кавказскіе корреспонденты и извѣстные писатели,—спеціалисты по разнымъ отдѣламъ изданія.

Газета будетъ выходить ежедневно, не исключая и послѣ-воскресныхъ дней, въ количествѣ 350 №№ въ годъ, въ форматѣ обыкновеннаго газетнаго листа, по слѣдующей программѣ:

1. Статьи по вопросамъ: а) теории и практики права и судопроизводства, экономическимъ финансовымъ, государственнымъ, международнымъ, общественнымъ, по общему праву и статистикѣ; б) русской и иностранной общественной жизни, политики и литературы; и в) промышленнымъ: нефтяному, винодѣлю, шелководству, марганцовому дѣлу и др.—II. Обозрѣніе правительственныхъ распоряженій.—III. Судебное обозрѣніе (судебные отчеты и кассационныя рѣшенія).—IV. Общественное Обозрѣніе (отчеты о засѣданіяхъ общественныхъ собраній и ученыхъ обществъ).—V. Тифлисское и кавказское Обозрѣніе (новости и корреспонденціи).—VI. Русское Обозрѣніе.—VII. Иностранное Обозрѣніе.—VIII. Обозрѣніе русской и иностранной періодической печати; критика и библиографія.—IX. Торговопромышленное Обозрѣніе (торговопромышленныя свѣдѣнія и курсы).—X. Фельтонъ: романы, повѣсти, рассказы о явленіяхъ общественной жизни и стихотворенія.—XI. Послѣднія новости и телеграммы.—XII. Смѣть.—XIII. Театръ и музыка.—XIV. Справочный указатель (резолуціи Тифлискихъ судебныхъ установленій по дѣламъ апелляціоннымъ кассационнымъ и пр.).—XV. объявленія.

Условія подписки:

РЕДАКЦІЯ И АДМИНИСТРАЦІЯ ГАЗЕТЫ (для приѣма подписки, объявленій и различной продажи)—ТИФЛИСЬ, Сололаки, Нагорная улица, д. № 21.

Подписная цѣна на газету (съ доставкою и пересылкою.)

Въ Россіи	Руб. коп.	За границею:	Руб. коп.
На 12-ть мѣсяцевъ	— 12 50	На годъ	— 19 „
— 6 — — —	— 6 50	— полъ года	— 10 „
— 3 — — —	— 3 50		
— 1 — — —	— 1 50		

для т. г. студентовъ годовая плата—9 р., съ разсрочкою: при подпискѣ, въ апрѣлѣ и августѣ по 3 р.

Отдѣльные №№ газеты по 5 коп.

ОБЪЯВЛЕНІЯ, за занимаемое мѣсто, строка пѣтита 5 коп.; при неоднократныхъ объявленіяхъ, дѣлается скидка.

Подписка на газету и объявленія также принимаются: въ Тифлиси: въ типографіи „Кавказское Обозрѣніе“ (Дворцовая улица, каравансарай, бывший Арцруни) и въ Центральной книжной торговлѣ, въ Петербургѣ и Москвѣ, въ книжныхъ магазинахъ: И.И. Анисимова и „Новаго Времени“, въ Харьковѣ—въ книжн. магаз. „Новаго Времени“, въ Одесѣ—у Распопова, въ Варшавѣ—у Райхмана и Френдлера и др.

При доставленіи въ редакцію экземпляра сочиненія юридическаго или иного содержанія о немъ будетъ данъ отчетъ и сдѣлана публикація

Редакторъ—издатель А. С. ФРЕНКЕЛЬ.